პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 47 (11960)
პარასკევი,
24 თებერვალი
1961 წ.

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვაწყოთ 1961 წელს დიდი ლაშქრობა სიმინდის უხვი მოსავლისათვის

ყვარლის რაიონის მოწინავე მესიმინდეთა რაიონული თათბირის მონაწილეების მიმართვა

საქართველოს ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მექანიზატორებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ძალღონით აღსავსე შეეგება საბჭოთა ხალხი 1961 წელს. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობით გამართული ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომელმაც გულდასმით განიხილა სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და დასახა მისი აღმავლობის კონკრეტული ამოცანები.

1960 წელს გაწეულია დიდი მუშაობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და მიღწეულია გარკვეული წარმატებანი. ამ საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეტანეს ყვარლის რაიონის მშრომელებმაც. შვიდწლედის მეორე წელს პირუტყვის ყველა სახეობის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმის შესრულებასთან ერთად ჩვენმა რაიონმა მნიშვნელოვნად გაადიდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. წარმატებები გვაქვს მეურნეობის სხვა დარგებშიც. მაგრამ მიღწეულს ვერ დავჯერდებით. პარტია, ხალხი ჩვენგან მეტს მოითხოვენ. პარტიამ დასახა სასოფლო-სამეურნო პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ამ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მარცვლეულის წარმოების ზრდამ, ხოლო მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია სიმინდის მოსავლიანობის ამაღლება.

ვითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, ჩვენ, რაიონული თათბირის მონაწილენი, ვკისრულობთ 1961 წლისათვის შემდეგ ვალდებულებებს:

დავთესავთ სამარცვლედ 4.500 ჰექტარ სიმინდს, აქედან 2.500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 60 ცენტნერ მარცვლს, ხოლო სიმინდის მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ — 40 ცენტნერს.

ნაწვერალზე დავთესავთ 3.000 ჰექტარ სიმინდს, აქედან 500 ჰექტარს სამარცვლედ და უზრუნველყოფთ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვლისა და 194 ცენტნერი მწვანე მასის მიღებას.

ჩავდებთ 35 ათას ტონა სიმინდის მაღალხარისხოვან სილოსს — თვითეულ ძროხაზე 12-13 ტონას. ყველა კოლმეურნეობაში შეექმნით სილოსის მარაგს ღორისა და ცხვრის საკვებად.

სახელგანთქმული მექანიზატორების ა. გიტალოვისა და ნ. მანუკოვსკის მეთოდით 800 ჰექტარზე განვახორციელებთ სიმინდის მოყვანის კომპლექსურ მექანიზაციას, ნაცვლად 1960 წლის 400 ჰექტარისა.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა, მექანიზატორებმა, კოლმეურნეებმა უფრო დიდი ვალდებულებები იკისრეს.

შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ვ. ცისკარიშვილი) ვალდებულება იკისრა წელს სამარცვლედ დათესოს 380 ჰექტარი სიმინდი და თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 65 ცენტნერი მარცვალი.

სოფელ შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც მ. გურაბანიძე ხელმძღვანელობს, 50 ჰექტარზე დათესავს სიმინდს, აქედან 25 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღებს 100 ცენტნერ სიმინდს მარცვლად, ხოლო დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 85 ცენტნერს.

ამავე ბრიგადის პირველი რგოლი (ხელმძღვანელი ი. ოთარიშვილი) 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 170 ცენტნერ სიმინდს მარცვლად.

ამ კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. კურდღელაშვილმა იკისრა 1961 წელს კომპლექსური მექანიზაციის წესით დაამუშაოს 100 ჰექტარი სიმინდის ნათესი და საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 65 ცენტნერი მარცვალი, ამასთან მნიშვნელოვნად შეამციროს სიმინდის თვითღირებულება.

ამავე კოლმეურნეობის წევრმა გ. მირიანაშვილმა ვალდებულება იკისრა ერთ ჰექტარზე მოიყვანოს 180 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

სოფელ ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. მანძულაშვილი) ვალდებულება იკისრა 1961 წელს სამარცვლედ დათესოს 355 ჰექტარი სიმინდი და 310 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 60 ცენტნერი მარცვალი, ამასთან ორი მანეთით შეამციროს ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება 1960 წელთან შედარებით.

ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. გედაშვილმა იკისრა ბრიგადაში დათესოს 80 ჰექტარი სიმინდი და საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 70 ცენტნერი მარცვლად, ხოლო მერგოლურმა ნ. გიგოლაშვილმა იკისრა 15 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 120 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო ერთ ჰექტარზე — 170 ცენტნერი მარცვლად.

დაბა ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა 398 ჰექტარი ნათესიდან 310 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 60 ცენტნერ სიმინდს მარცვლად.

ამავე კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი გ. შიუკაშვილი) ვალდებულება აიღო 85 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 70 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

ამავე ბრიგადის რგოლი, რომელსაც ზ. შაოშვილი ხელმძღვანელობს, დათესავს 30 ჰექტარ სიმინდს და საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღებს 80 ცენტნერ სიმინდის მარცვალს.

დაბა ყვარლის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა დათესავს 255 ჰექტარ სიმინდს, 210 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღებს 60 ცენტნერს მარცვლად, ხოლო მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 54 ცენტნერ სიმინდს მარცვლად.

რგოლი, რომელსაც თ. მაისურაძე ხელმძღვანელობს, დათესავს 12 ჰექტარ სიმინდს და საშუალოდ ჰექტარზე მიიღებს 90 ცენტნერ სიმინდს მარცვლად.

ამავე კოლმეურნეობის წევრმა მ. წიწრიაშვილმა ვალდებულება იკისრა ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესზე მიიღოს 120 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა 400 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან 290 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანს 60 ცენტნერ მარცვალს, ხოლო მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 50 ცენტნერს.

ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობა დათესავს 300 ჰექტარ სიმინდს, აქედან 210 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 60 ცენტნერ მარცვალს, ხოლო მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 49,5 ცენტნერს.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვ. მინდიაშვილი ვალდებულებას კისრულობს, რომ ერთ ჰექტარზე მოიყვანს 110 ცენტნერ სიმინდს მარცვლად, ხოლო ამავე სოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი რ. ნადირაძე — 100 ცენტნერს.

შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა დათესავს 360 ჰექტარ სიმინდს, აქედან 230 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 60 ცენტნერს მარცვლად, ხოლო მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 53 ცენტნერს.

გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა 410 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან 230 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 60 ცენტნერს მარცვლად, ხოლო მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 47 ცენტნერს.

გადდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ბალღოჯიანის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა", საბუის კიროვის, სანავარდოს კომინტერნის, შაქრიანის მეორე პარტყრილობის, მოისძირის ჭავჭავაძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, ყველა აგროტექნიკური ღონისძიების დროულად განხორციელებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას.

მომდინარე წელს უხვი მოსავლის მოყვანის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენ განვახორციელებთ შემდეგ ღონისძიებებს:

1. ნიადაგს თესვის წინ დავამუშავებთ აგროტექნიკური წესების სრული დაცვით, სიმინდის თესლს მოვაქცევთ ფბვიერ გარემოში და საჭირო სიღრმეზე. გავითვალისწინებთ ჰავისა და ნიადაგის პირობებს და სიმინდს დავთესავთ მხოლოდ მზრალად ხნულზე.

2. დავთესავთ დარაიონებულ, უხვმოსავლიან და ჰიბრიდულ თესლს, გამოვიყენებთ დაკალიბრებულ თესლს, რითაც მივაღწევთ ბუდნაში 2-3 მარცვლის ჩათესვას.

3. სიმინდის თესვას დავამთავრებთ 20 აპრილისათვის, თვითეულ ჰექტარზე შევინარჩუნებთ 40 ათასამდე მცენარეს.

4. იქ, სადაც რელიეფი კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის საშუალებას არ იძლევა, სიმინდის თესვას ვაწარმოებთ მწკრივებად.

5. რწყვის სეზონისათვის დროულად მოვამზადებთ არსებულ სარწყავ ქსელს, დავიცავთ რწყვის წესებს, გავზრდით სარწყავი წყლის გამოყენების კოეფიციენტს.

6. გულდასმით ვადევნებთ თვალყურს სიმინდის აღმოცენებას და განვითარებას, არ დავუშვებთ მცენარეების დაზიანებას მავნებლებისაგან, აგროტექნიკური წესების ზუსტად დაცვით ვაწარმოებთ ნათესის დამუშავებას, სწორად გამოვიყენებთ სასუქებს.

მაქსიმალური დატვირთვით გამოვიყენებთ ტექნიკას. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე მოვაწყობთ ტექნიკის დათვალიერების ათდღიურს. უზრუნველვყოფთ ტექნიკის კარგად მომზადებას და შეუფერხებელ მუშაობას.

7. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში განვახორციელებთ შრომის დამატებითი ანაზღაურების პროგრესულ მეთოდს. სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატებისათვის დავაწესებთ პრემიალურ და სხვა წამახალისებელ ღონისძიებებს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, ყველა აგროტექნიკური ღონისძიების დროულად განხორციელებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას.

ვკისრულობთ რა ამ გადიდებულ ვალდებულებებს, მოვუწოდებთ საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მაქსიმალურად გამოიყენონ სიმინდის მოსავლიანობის გადიდების არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი, უზრუნველყონ ამ დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებათა სასახელოდ შესრულება.

მაშ შეუფდგეთ საქმეს, ამხანაგებო! ყოველმხრივ მოვემზადოთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXII ყრილობას.

თათბირის მონაწილეთა დავალებით:

ა. ავაზაშვილი — საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი, **ზ. ბერაშვილი** — ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ი. დიასამიძე** — საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის მეორე მდივანი, **გ. ბერაშვილი** — საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის მდივანი, **ნ. ახოშვილი** — სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი, **პ. წიკლაური** — საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, **დ. ლაფაჩიშვილი** — ყვარლის გაზეთ „ლენინური გზით"-ის რედაქტორი, **ს. სეფაშვილი** — საქართველოს აღკკ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი, **ვ. ცისკარიშვილი** — შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, **შ. მანძულაშვილი** — ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **გ. უუდროშვილი** — ახალსოფლის ჩარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, **ნ. გიგოლაშვილი** — ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, **ი. ბერიაშვილი** — გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. ჩხიკვაძე** — ყვარლის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. გურაბანიძე** — შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, **ო. რუსიშვილი** — ყვარლის სტს-ის დირექტორი, **ნ. კურდღელაშვილი** — შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ნ. ლარიბაშვილი** — ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ბ. კეკლიშვილი** — შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, აგრონომი.

გუშინ კრემლის დიდ სასახლეში

მოსკოვი, 23 თებერვალი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში რუსეთის სფსრ ცენტრის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეები განაგრძობდნენ საქმიან სამეურნეო ბჭობას. განიხილავდნენ რუსეთის ცენტრის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. გ. იგნატოვმა, ფ. რ. კოზლოვმა, ა. ი. მიკოიანმა, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. ს. ხრუშჩოვმა, ნ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა, გ. ი. ვორონოვმა, ვ. ვ. გრიშინმა.**

სხდომაზე პირველი გამოვიდა მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკის" დირექტორი ა. ა. გოლცოვი.

თათბირის მონაწილეებს თავისი მუშაობის გამოცდილება, მომავლის გეგმები გაუზიარეს სკკპ კალინინის ოლქის ტორჟოკის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. ვ. ვოლკონსკიმ, ესტონეთის სსრ საბჭოთა მეურნეობა „ადაველეს" დირექტორმა ა. ი. ნობელმა და სხვ.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა თათბირმა უდიდესი ყურადღებით მოისმინა და მისი წარმოთქმის დროს არაერთგზის გაისმა ტაში.

შემდეგ თათბირის მონაწილეებმა მიიღეს ცენტრის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა არაშავნიადაგიანი ზონის ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ყველა მუშაკისადმი.

თათბირის მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი მისასალმებელი წერილის ტექსტი.

თათბირმა ამით დაამთავრა მუშაობა. (საკდესი).

დეპუტაციების კანდიდატები

დარაზმულობისა და ერთსულოვნების ვითარებაში ასახელებენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

23 თებერვალს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საქმით დარბაზში შეიკრიბნენ მწერლები, პოეტები, დრამატურგები და კრიტიკოსები, რათა დაესახელებინათ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. წინასაარჩევნო კრება გახსნა რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ.

ტრიბუნაზე ავიდა მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ი. ნონეშვილი. მან თქვა:

— ჩვენი ხალხი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს თავის საუკეთესო შვილებს, იმათ, ვინც თავისი თავდადებული შრომით გვიჩვენებს სამშობლოს, ხალხის, პარტიის სამსახურის მაგალითს. ჩემი წინადადებაა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **გივი დმიტრის-ძე ჯავახიშვილი.** წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს წინადადება.

საქართველოს მწერალთა კავშირის წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად დაადგინა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელოს საქართველოს კომპარტიის კალინინის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ეთერ არტემის ასული სალუქვაძე.** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ბესო დავითის-ძე ეფენტი,** ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის" რედაქტორი მწერალი **კონსტანტინე ალექსის-ძე ლორთქიფანიძე** და მწერალი **მარიამ მარკოზის ასული ალექსიძე** (მარიჯანი).

კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია პოეტი **ანა პავლეს ასული კალანდაძე.**

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს საქართველოს დედაქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში".

ენერგეტიკოსმა ნ. ჩოჩუამ წინადადება წამოაყენა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.**

ამხ. გ. ს. ძოწენიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა კადრების განყოფილების უფროსმა გ. ხითუროიძემ.

სიტყვა წარმოთქვა მაუდის საამქროს ოსტატის თანამშრომელ ო. კუბლაშვილმა. მან წინადადება წამოაყენა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ საწარმოს მოწინავე მუშა **ლუბა ემელიანეს ასული სტაროვოიტოვა.**

წინასაარჩევნო კრებამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დასახელა კომბინატის დირექტორი **ევგენია ზაქარიას ასული თავაძე,** საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანი **გიორგი პავლეს-ძე გამცემლიძე** და მოწინავე მქსოველი **ტატიანა გიორგის ასული ნოზაძე.**

სტალინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს საქართველოს კომპარტიის სტალინის რაიკომის პირველი მდივანი **გაბრიელ ნოეს-ძე გოშაძე,** პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე **პარასკევა მოსეს ასული ციცვაია,** მკრეკავი **დოდო ქსენოფონტეს ასული დვენუაძე** და მოწინავე მრთველი **ნატალია ივანეს ასული ქისტაური.**

ქალაქ თბილისის კიროვის რაიონში დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს ბრძოლა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, 22 თებერვალს, აქ დაიწყო „ბრძოლელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, აღმორჩევლები თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ წარმოების საუკეთესო მუშაკებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მეცნიერებს.

კრებაზე, რომელიც საკოტონო წინდების ფაბრიკაში გაიმართა, საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს მოწინავე მუშა **ლუბა ათანასეს ასული ზიმინა,** რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს მოწინავე მუშები **ნუნუ შალვას ასული ჯოგლიძე** და **ელენე კონსტანტინეს ასული პიროვა.**

მეექვსე საკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს მოწინავე მკერავი **ელენე ივანეს ასული მეგალიშვილი,** ხოლო რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი **მაყვალა იაკობის ასული კალანდაძე.**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კორორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ვახტანგ გრიგოლის-ძე გოგიბედაშვილი.** (საქდესი).

ღირსეული შეხვედრა პარტიის ყრილობას

მაღაროელები სოფელს ეხმარებიან

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის მშრომელები გულდასმით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენმისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მასალებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში მაღაროელები დახმარების მეგობრულ ხელს უწვდიან კოლმეურნეებს.

კარგი თაოსნობა გამოიჩინა სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელწოდების მოპოვებისათვის. მაღაროს ზეგანზე არის სოფელ პერევისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ჩამორჩება მარცვლეულის, ყურძნის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. კოლმეურნეობას არ ყოფნის მუშახელი. ამ სოფლიდან ასზე მეტი კაცი სტალინის სახელობის მაღაროში მუშაობს. მათ მუშაობის შემდეგ და დასვენების დღეებში შეეძლიათ დაეხმარონ კოლმეურნეობას. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა კრება, რომელიც მაღაროში გაიმართა. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება შეფობა აიღონ სოფელ პერევისის კოლმეურნეობაზე და აგრეთვე მიმართეს ქალაქის ყველა საწარმოს მიბაძონ ამ მაგალითს, მაღაროს ყველა მუშა, რომელიც პერევისაში ცხოვრობს. მიიმაგრებს ნაკვეთს და აგროტექნიკური წესების დაცვით დაამუშავებს. მაღაროელებმა ს. ლეთოდიანმა, ვ. ჩაჩანიძემ, შ. წივილაშვილმა იკისრეს დაამუშაონ თითო ჰექტარი სიმინდის ფართობი და გეგმის გადამეტებით მიიღონ სულ მცირე ორი-სამი ცენტნერი სიმინდი. მაღაროს კოლექტივი მოაწყობს კოლმეურნეობის ფართობში მასობრივ გასვლას სეზონური სამუშაოების შესასრულებლად, დაეხმარება კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთებაში, მბატავრული თვითმოქმედების კოლექტივები კოლმეურნეობაში გამართავენ კონცერტებს, ხოლო მომხსენებელთა ჯგუფის წევრები წაიკითხავენ ლექციებ-მოხსენებებს აქტუალურ თემებზე.

ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს თაოსნობას მხარი დაუჭირეს ყველა მაღაროსა და მშენებლობაზე, იღებენ შეფობას კოლმეურნეობებზე, აჩაღებენ პრაქტიკულ დახმარებას.*

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30 გვ. 488.

შიფერი — საკოლმეურნეო სოფელს

ბალი. (საკ. კორ.). რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ მოაწყო და უკვე ამუშავა სახურავი შიფერის ქარხანა, რომელიც ამჟამად დღეღამეში 2.500-3.000 ცალ მაღალხარისხოვან შიფერს უშვებს, პარტიის მორიგი, XXII ყრილობის აღსანიშნავად გალელმა მეშიფერეებმა გადაწყვიტეს ეს საწარმო სრული სიმძლავრით ამუშაონ მომდინარე წლის მეორე ნახევრიდან და დღეღამეში სახალხო მეურნეობას მისცენ 8 ათასი ცალი შიფერი.

შიფერის დამზადების ტექნოლოგიის კარგად ათვისებაში შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ კომკავშირელები: ოსტატი კოტე გულუა და მემანქანე ნოდარ შონია, ხსნარის დამამზადებელი ვახტანგ შონია, დამყალიბებელი ნადეჟდა ტიეგა, და ლაბორანტი ლარისა ჰაჰაშვილი.

ქარხნის პირველი პროდუქცია უკვე მიიღეს გალის რაიონის ზემო ბარღების, ღუმურიშის, მეხურის, ოქუმის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

შიფერის გარდა მალე აქ წარმოების ნარჩენებისაგან შეუდგებიან საკედლე ბლოკების გამოშვებას.

პირველი 59 ტონა ზეგეგმიური ქაღალდი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის კოლექტივმა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად იკისრა შეასრულოს გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი: წლის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 200 ტონა ქაღალდი და ამდენივე ცელულოზა, თვითღირებულება შეამციროს 25 ათასი მანეთით, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდოს 0,5 პროცენტით.

წელს კომბინატში მრავალი ტექნიკური ღონისძიება განხორციელდება. გადაწყვეტილია წელს ამუშაონ ხის მასის სახარშავი ქარხანა, მოაწესრიგონ ხეტყის ნარჩენების გადამუშავება და შეუდგნენ მზადებას ლერწმის პლანტაციის გასაშენებლად.

დასახულ ღონისძიებათა განხორციელებით კომბინატი რენტაბელური გახდება 1964 წლის ბოლოსათვის და იმუშავებს უდოტაციოდ.

იკისრა რა გადიდებული ვალდებულებანი, ენგურქაღალდკომბინატის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კალინინგრადის ოლქის სოვეტსკის ქაღალდის კომბინატის და თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივები.

ქართველმა მექაღალდეებმა იანვარში უკვე მოიპოვეს პირველი წარმატება. თვიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს 59 ტონა ქაღალდი მისცეს.

საზეიმო სხდომა

მიძღვნილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 43-ე წლისთავისადმი

მოსკოვი, 22 თებერვალი. (საკდესი), საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრი სადღესასწაულოდაა მორთული. დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 43-ე წლისთავს.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი მ. ვ. ზახაროვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ფ. ი. გოლიკოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები კ. ს. მოსკალენკო, ვ. ი. ჩუიკოვი, ს. ს. ბირიუზოვი, ავიაციის მთავარი მარშალი კ. ა. ვერშინინი, ადმირალი ს. გ. გორშკოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. ი. ერიომენკო, ი. ს. კონევი, ვ. დ. სოკოლოვსკი და სხვები. დიდი აღფრთოვანებით სამაგალითო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ.

მეომრებს მიესალმნენ: პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის სახელით — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ე. ბირიუკოვი, საბჭოთა კავშირის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების სახელით — სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბ. ვეზნოვი და სხვები.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

სომხეთის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულება

ერევანი, 22 თებერვალი. (საკდესი). სკკპ XXII ყრილობას შეეგებდეთ ახალი შრომითი გამარჯვებებით — ასეთი ლოზუნგით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სომხეთის ეკონომიური რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები.

კოლექტივებმა გამოიანგარიშ

ხარაჩოები მოელიან ათასობით ახალგაზრდას

ახალგაზრდა მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი

საქართველო ახალშენებათა ხარაჩოებშია, შენდება ახალი დიდი სამრეწველო საწარმოები, ელექტროსადგურები, შახტები, საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებათა შენობები. დიდი და პასუხსაგები ამოცანები უნდა გადაჭრან მშენებლებმა შვიდწლედის მესამე წელს. ამ ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ახალგაზრდა მშენებლებმა. 22 თებერვალს ისინი შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში თავიანთ პირველ რესპუბლიკურ თათბირზე, რათა განეხილათ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა აგების ტემპების დაჩქარების გადაუდებელი ამოცანები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **თ. მენთეშაშვილმა.** იგი ამბობს, რომ ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა გიგანტური სამშენებლო მოედანია. ძნელია გამოიძებნოს ისეთი კუთხე, ქალაქი ან სოფელი, სადაც აღმართული არ იყოს ხარაჩოები, სადაც ულოს ყოველ მოქნეულაში, ბარის ყოველ დარტყმაში არ სუნთქავდეს შვიდწლედი, არ იყოს გაჩაღებული ბრძოლა მისი ძალიანად და გადაჭარბებით ვადამდე შესრულებისათვის. შვიდწლედის დიადი პროგრამა დაეუფლა მილიონობით ქალიშვილისა და ჭაბუკის სულსა და გულს, ფიქრსა და გეგეგმას, მოუწოდებს მათ ახალი გმირული საქმეებისათვის, ახალი გამარჯვებებისათვის

შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის შთაგონებულ და შემოქმედებითს მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობებსაც. შვიდწლედის პირველ ორ წელს საქართველოში აშენდა 29 ახალი საწარმო, 21 საამქრო. ათვისებულია ქვანახშირის, ელექტროტექნიკური, ქიმიური, მეტალურგიული, მარგანეცის, კვების მრეწველობის ახალი სიმძლავრეები. აგებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, მწყობრში ჩადგა საექსპერიმენტო ატომური რეაქტორი, რუსთავსა და თბილისში მოვიდა ყარადაღის გაზი. აგებულია ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებანი.

წარმატებები თვალსაჩინოა, ისინი ბევრ რამეს მოწმობენ. და ამ წარმატებებში დიდია ახალგაზრდა მშენებლთა დამსახურება, დიდია მათი წვლილი. თუ ფღეს ვამაყობთ ჩვენი ინდუსტრიით, რუსთავის ფოლადით, ქუთაისის ავტომობილებით, ჭიათურის მარგანეცით, გორის ქსოვილებით, თბილისის ლითონსაკრელი ჩარხებითა და ელმავლებით, ჯანმთელობის საუცხოო კერებით, ამაში პირველი სიტყვა გეკუთვნით თქვენ და თქვენი სახით ყველა მშენებელს. თქვენ შთაბერეთ სიცოცხლე ამ ნაგებობებს და ჩააყენეთ ხალხის სამსახურში.

წარწერა „ქომკავშირული მშენებლობა“ გაჩნდა ყველა ქალაქსა და რაიონში. შარშან რესპუბლიკაში 45 მშენებლობა გამოცხადდა ქომკავშირულად, და მათი უმრავლესობა ვადამდე აშენდა. ახლა ამ წოდებას 50-ზე მეტი მშენებლობა ატარებს.

მომხსენებელი ლაპარაკობს ახალგაზრდა მშენებელთა შრომითს საქმეებზე. ჭიათურის მშენებლებმა პირნათლად შეასრულეს პარტიისათვის მიცემული სიტყვა, წარმატებით შეასრულეს 1960 წელს კაპიტალდაბანდებათა გეგმა და შვიდწლედის მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩაყენეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმოები: დარკვეთის, ზედა რგანის, მღვიმეგენ-ხრამის მაღაროები, დარკვეთის გამამდიდრებელი ფაბრიკა. ამ საწარმოთა აგებაში მონაწილეობას იღებდა 1.700 მშენებელი, რომლებიც აქ კომკავშირული საგზურებით ჩამოვიდნენ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან. შრომაში მამაცობით მოიპოვეს სახელი ახალგაზრდა მშენებლებმა: ო. ვაშაძემ, ო. ვერულაშვილმა, გ. კაპანაძემ, ზ. მაჭავარიანმა, ლ. გაბუნიამ, გ. ჭოხონელიძემ, ა. დუმბაძემ და სხვებმა. ჭიათურელებმა ვალდებულება ეკისრეს წელს კიდევ უფრო კარგად იმუშაონ, ვადამდე დაამთავრონ შვიდწლედის დამკვრელ მშენებლობათა აგება.

შესანიშნავი წარმატებებით მოვიდნენ თათბირზე ლაჯანურის, ხრამის № 2 ჰიდროელექტროსადგურების, სიონის წყალსაცავის მშენებლები. ათასობით ენთუზიასტი გამოეხმაურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და წვიდა რესპუბლიკის ენერგეტიკულ მშენებლობებზე. თავდადებული შრომის ნიშუნები გვიჩვენეს ბათუმის, ზესტაფონის, ფოთის, ბაიაკოვსკის, თელავის, გორისა და სხვა რაიონების ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, ამბობს ამხ. მენთეშაშვილი, ითვალისწინებს ენერგეტიკული ბაზის დაჩქარებულ ზრდას. ჩვენი ამოცანაა 1965 წელს ერთიანად გავადიოთ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება, ახალგაზრდა ჰიდროენერგომშენებლებს მოუწოდებენ ახალი ხარაჩოები, მათ მოელით ახალი საინტერესო სამუშაოები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა შორის არის გარდაბნის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, გადაწყდა მდინარე ენგურზე აშენდეს მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. აქ და სხვა მშენებლობებზე უნდა ამუშავდეს ახალგაზრდა მუშათა უნარიანი ხელი.

მოხსენებაში ლაპარაკი იყო კომკავშირელთა შემოქმედებითს ინიციატივაზე, მოსაზრებულობაზე. მაგალითად, ახალგაზრდა სამრეწველო ცენტრის — ქალაქ რუსთავის ახალგაზრდობამ საკუთარ ხელში აიღო „დიდი ქიმიის“ შექმნის საქმე და თავდადებით იბრძვის ახალ სიმძლავრეთა დროზე ამუშავებისათვის. კომკავშირის რუსთავის კომიტეტმა ფართო ფრონტით გაშალა მუშაობა ამ მომართულებით. მას საქმიანი კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 30-ზე მეტ კომკავშირულ შტაბთან და საკონტროლო საგუშაგოსთან.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად, მშენებლობებზე უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს ინდუსტრიული მეთოდები. უნდა დაჩქარდეს სახლსამშენებლო კომბინატებისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნების აგება. საქართველოს კომკავშირის XXII ყოველმამ მხარი დაუჭირა ჭიათურელთა ძვირფას ინიციატივას სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისადმი შეფობის საქმეში და კომკავშირულ მშენებლობებად გამოაცხადა თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნებისა და პოლგონების მშენებლობა. კარგად აბორიგელებენ შეფობას თბილისისა და ბათუმის კომკავშირელები. მათი დახმარებით უკვე წელს მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩაყენებულია ახალი სახლსამშენებლო კომბინატები.

მომხსენებელი ლაპარაკობს მშენებელთა შესანიშნავ კადრებზე. რომლებიც რესპუბლიკაში გაიზარდნენ. დღევანდელი ჩვენი მშენებელი მარტო სამუშაოთა შემსრულებლები კი არა, არამედ განათლებული, მოაზროვნე, საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომი ადამიანები არიან. მათგან ყველაზე საუკეთესონი, მოწინავენი ჩადგნენ მომავლის მზვერავთა დიადი არმიის რიგებში. საქართველსმოა, რომ საქართველოს მშენებელთა 51 ახალგაზრდულმა კოლექტივმა უკვე მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის სამაპატიო წოდება და 100-ზე მეტი კოლექტივი იბრძვის ამ სამპატიო წოდებისათვის. დაახლოებით 300 ახალგაზრდა მშენებელს მიეკუთვნებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელი, ხოლო ათასზე მეტი კაცი იბრძვის ამ მაღალი წოდებისათვის. ესენი არიან ახალი ადამიანები, რომელთათვის შრომა, შედმივი ბრძოლა სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ ღირსების საქმეა. კომკავშირმა, მშენებელობათა ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინონ ეს ძვრები, ეს ცვლილებები, აღმზრდელობითი მუშაობა უნდა აწარმოონ ყოველივე ახლის გათვალისწინებით.

ამხ. მენთეშაშვილი დასასრულ აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა მშენებელთა წინაშე შვიდწლედის მესამე წელს დასახულია დიდი ამოცანები, განსაკუთრებით კი დიდმნიშვნელოვან სრულიად საკავშირო დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობებზე. ბევრი სიძნელე შეგხვდებათ გზაზე, ამბობს იგი, მაგრამ გვჯერა, რომ თქვენ ვერ შეგაშინებთ დაბრკოლებები და სიძნელეები, რომ კვლავაც წარმატებით ააგებთ ქარხნებისა და ფაბრიკების კოთხუსებს, შახტებს, დაიმორჩილებთ სწრაფ მდინარეებს და ხალხის სამსახურში ჩააყენებთ მათს ენერგიას, ღირსეულ წვლილს შეიტანთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საქმეში. თათბირის ყველა მონაწილის სახელით, რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელით მინდა პირობა მივცე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ჩვენ საქმეს არ შევაფერხებთ, პირნათლად შეასრულებთ ჩვენს სიტყვას.

თათბირი კამათზე გადადის. ტრიბუნაზე ადიან სახელოვანი მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. მათს სიტყვებში გაისმის სიამაყე თავიანთი პროფესიისათვის, პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, სიხარული იმის შეგნების გამო, რომ თავიანთი შრომით ხელს უწყობენ საყვარელი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ახალ აყვავებას, მისი ეკონომიური ძლიერების ზრდას, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო შესანიშნავი შრომითი გმირობა ახალგაზრდა ჭიათურელი მშენებლებისა, რომლებმაც გაიმარჯვეს შვიდწლედის კომკავშირულ დამკვრელ მშენებლობათა კოლექტივების სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში. ჭიათურელმა ახალგაზრდამ პირნათლად შეასრულა პარტიისა და მთავრობის დავალება: ვადამდე ჩააყენა მოქმედთა მწყობრში შვიდწლედის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობანი. დამსწრენი ტაშით შეხვდნენ ჭიათურელ მშენებელთა წარმომადგენელს, „ჭიათურმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელს **თ. ვაშაძეს.**

საინტერესოდ და აღფრთოვანებით ლაპარაკობს ჭაბუკი თავისი ბრიგადის შრომითს საქმეებზე. ბრიგადის წევრები საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობაზე მუშაობდნენ. ახალგაზრდებს მუშაობა უხდებოდათ წვიმასა და სიცხეში, ყოველგვარ ამინდში, უაღრესად ძნელად მისადგომ ადგილებში. ორ თვეში მათ ამოიღეს 3 ათასზე მეტი კუბური მეტრი კლდის გრუნტი, ჩაასხეს 1.000 კუბური მეტრი ბეტონი. საბაგირო გზის აგება ვადაზე სამი თვით აღრე დამთავრდა.

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ს. ხაბეიშვილმა** დაასახელა ისინი, ვინც თავისი თავდადებული შრომით ალამაზებს, კეთილმოწყობილს ხდის ჩვენს ძველ დედაქალაქს, ვინც თავისი ხელით აშენებს ათობით საცხოვრებელი სახლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობის კედლებს. ქალაქის მშენებლობებზე ხუთი ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი შრომობს. ბეერმა ბრიგადამ და ცალკეულმა მრწინავეებმა მოიპოვეს კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვიელის წოდება, ასობით და ათასობით ახალგაზრდა მონაწილეობს ამ საპატიო წოდების მოსაპოვებლად გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

ორატორმა დიდი მადლიერებით ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რასაც რესპუბლიკის ახალგაზრდობა უწევს თბილისელ მშენებლებს. ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მოვიდა ქალაქის მშენებლობებზე კომკავშირის საგზურით. მეტ წილ სამშენებლო სამმართველოებში მათ გულითადად, უყურადღებით ხვდებიან, უქმნიან ნორმალური მუშაობის ყველა პირობას. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი ხელმძღვანელები, როგორც, მაგალითად, თავვართბილისმშენის ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოში, რომლებიც ცუდად აკმაყოფილებენ ახალგაზრდა მშენებელთა მოთხოვნებს, არ უქმნიან მათ კულტურული დასვენების, კვალიფიკაციის ამაღლების პირობებს.

საპატიო მიზანი დასახეს რუსთაველელებმა. ისინი ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ ჩვენს ქვეყანაში მოწოდებას — ბრძოლად კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების ქალაქის წრდების მოსაპოვებლად. ამ პატრიოტულ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდა მშენებლები — რესპუბლიკის სახალი ინდუსტრიული ცენტრის მშრომელთა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმის წარმომადგენლები. ამაზე ილაპარაკა კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. წვერავამ.**

— ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ხატოვანი გამოთქმით, — განაცხადა მან,— „მშენებლები გზას უკაფავენ სიახლეს ცხოვრებაში“. მშენებელთა მარჯვე ხელებიანული სისწრაფით გარდაქმნის ცხოვრებას. მაგალითისათვის ავიღოთ რუსთავი, ოდესღაც უდაბნო, მზით გადახრუკულ ველზე 10-15 წელიწადში წარმოიშვა დიდი თანამედროვე ქალაქი, უმაგალითოდ მოკლე ვადაში აღიმართა სამრეწველო საწარმოთა უზარმაზარი კორპუსები.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ იმათ ავანგარდში, ვინც ახორციელებს პარტიისა და მთავრობის გადაღებულ წინასწარდასახულობებს, არის ახალგაზრდობა; კომკავშირმა ორგანიზაციებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს უნიშნველოვანესი მშენებლობები, მოაწყეს იქ კომკავშირული საგუშაგოები.

— ბევრი კარგი საქმე განახორციელეს ახალგაზრდა ტყიბულელმა მშენებლებმა, — თქვა ტყიბულის კომკავშირული ბაზის მშენებლობის უბნის უფროსმა **ტ. ჭირაქაძემ.** — მათ ააშენეს ათობით საცხოვრებელი სახლი, კულტურის სასახლის მონუმენტური შენობა, საცურავი აუზი, მთელი რიგი სხვა სასპორტო ნაგებობანი. ქალაქის მახლობლად, მაღალ მთაზე, გაყვანილია კეთილმოწყობილი გზა და ახლა იქ იქმნება კულტურისა და დასვენების დიდი ცენტრი. ამყამად ტყიბულელი ახალგაზრდები აშენებენ პიონერთა სასახლეს, სკოლასა და სხვა ობიექტებს.

გამოდის სიონმშენის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვ. დორეული.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, — თქვა მან, — აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყავ მიწათმოქმედებას. ჩვენ, სიონელ მშენებლებს, კარგად გვაქვს შეგნებული, თუ რა დიდ სარგებლობას მოუტანს სოფლის მეურნეობას ჩვენი მშენებლობის დამთავრება. გასული წლის გეგმა 140 პროცენტით შეასრულეთ. მშენებლობის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს — შეასრულოს მიმდინარე წლის გეგმა პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის, ვადაზე ორნახევარი თვით ადრე.

ამ სამი წლის წინათ შუახევის რაიონის მაღალი მთის სოფლებიდან ქალაქ ბათუმის მშენებლობებზე კომკავშირის საგზურით ჩამოვიდნენ ახალგაზრდა კოლმეურნეები სიმონ ქათამაძე, ფიმეურაზ ბეჟანიძე, ვალიკო ბერაძე, ნოდარ დავითაძე, ზაქარია დიასამიძე, დავით საგინაძე. ახალგაზრდები დაეუფლნენ სხვადასხვა პროფესიას, გაერთიანდნენ ბრიგადად, რომელიც ახლა ერთ-ერთი მოწინავეა ქალაქში. ამ ბრიგადის ხელმძღვანელმა **ს. ქათამაძემ,** — მხურვალედ შევიყვარეთ მშენებლის პროფესია. ჩვენ მარტონი როდი ვართ, ამას წინათ მშობლიურ სოფელ ჯვარს ვეწვიე. ბევრმა ჩემმა სოფლელმა მეგობარმა მოისურვა მშენებლობაზე წამოსვლა. თითქმის ყველას საშუალო განათლება აქვს. ვთხოვთ რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს დაგვეხმარონ, რათა ბათუმში გაიხსნას სასწავლებელი. სადაც ახალგაზრდობა დაეუფლება მშენებლის პროფესიებს.

თათბირის მონაწილეებმა ბევრი სერიოზული პრეტენზია წაუყენეს სამეურნეო, მგეგმავი და მომმარაგებელი ორგანიზაციების, მთელი რიგი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების ხელმძღვანელებს. მწვავედ გააკრიტიკეს ის საწარმოები, რომლებიც საჭირო მასალისა და ნედლეულის დროზე მიუწოდებლობის გამო აჭიანურებენ უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემას.

— ჩვენ, მშენებლებს, — განაცხადა „მეტალურგნაგლინმონტაჟის“ ტრესტის მემონტაჟეემ **ი. ალექსინსკიმ** (ქალაქი რუსთავი), — ყოველთვის დროულად რიდი უზრუნველგვყოფენ სამუშაოთა ფრონტით. შარშან ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილის ასადიდი დგანის მონტაჟის დროს დროულად ვერ გვაწვდიდნენ მოწყობილობას. დაგვიანებით წყდებოდა ტექნიკური საკითხები. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ახლაც. ამას წინათ ჩვენ შევადგინეთ იმ მასალებისა და მოწყობილობის სია, რომლებიც არ გვყოფნის კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე, და ჩვენი მოთხოვნები გავუგზავნეთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს. მოველით, რომ ეს საკითხი რაც შეიძლება სწრაფად გადაიჭრება.

კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ი. კობახიძემ** აღნიშნა, რომ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უნდა გაამლიროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ადგილობრივი სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორების მუშაობისადმი. ორატორმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობათა დროულად უზრუნველყოფას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და ამასთან დაკავშირებით გააკრიტიკა „საქსახპროექტის“ მუშაკები.

იმის შესახებ, რომ უმნიშვნელოვანესი მშენებლობანი სუსტად არიან უზრუნველყოფილნი ტრანსპორტის საშუალებებით, ილაპარაკა აგრეთვე სტალინირის სამშენებლო სამმართველოს კალატორმა **ზ. ჯოიევმა.** ჩვენებრივ, — თქვა მან,— ჩვენ განაცხადით მოვითხოვთ 35-40 ავტომანქანას, სტალინირის № 3 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა კი გვიგზავნის ხშოლოდ 20-25 ავტომანქანას, ასევე ხშირად არ ასრულებენ ჩვენს გაანაცხადებს „კაველექტრომონტაჟისა“ და „სანტექმონტაჟის“ სამმართველოები.

ტყვარჩელელმა გვირაბგამყვანმა **შ. დოჩიამ** კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა საქართველოს შახტმშენის ტრესტის ხელმძღვანელობის მისამართით. რომელიც მასალებით ვერ უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში უნიკალური შახტ-ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას.

თათბირის მონაწილეებმა დიდი უყურადღებით მოისმინეს მშენებელთა უფროსი თაობის წარმომადგენელთა გამოსვლები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილმა წევრმა **კ. ზაგრიევმა** მოუწოდა ახალგაზრდებს მოთავენი იყოს მშენებლობაში პროგრესული, ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისათვის ბრძოლაში.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა **ს. ლორთქიფანიძემ** ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება იმისათვის, რომ შეიქმნას მშენებელთა მუდმივი კადრები, ამაღლდეს ამათ კვალიფიკაცია, დაკმაყოფილდეს ახალგაზრდა მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი.

ჩვენს ახალგაზრდობას მხურვალედ უყვარს ლიტერატურა და ხელოვნება. არ არის არც ერთი ხალხმრავალი კოცა, რომელზეც არ გაიმართოს გაცხოველებული საუბარი კულტურის მუშაკთა დიდ და საპატიო შრომაზე, იმაზე, თუ რას მოელიან მათგან საბჭოთა ადამიანები. ამ ამაღელვებელ თემაზე ბევრი ილაპარაკეს ახალგაზრდა მშენებელთა თათბირის მონაწილეებმაც. უპასუხა რა ძალს კითხვებსა და სურვილებზე, ჰოეტმა **იოსებ ნონეშვილმა** უამბო შეკრებილთ ქართველი მწერლების შემოქმედებითს გეგმებზე. ჩვენი ლიტერატორები, რომლებმაც ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს, — თქვა მან, — მიმდინარე წელსაც გაახარებენ მკითხველებს. ბევრი ახალი წიგნი მიეძღვნება შვიდწლედის მოწინავეებს — ჩვენი დროის გმირებს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **ვ. ვ. კოვანოვმა.** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა თათბირის მონაწილეებს და მათი სახით ახალგაზრდა მშენებელთა მთელ სახელოვან არმიას, უსურვა ამა თი პირადი ბედნიერება და შემდგომი წარმატებანი კეთილშობილურ და საპატიო შრომაში ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

მშენებელი საბჭოთა ქვეყანაში — ეს ამაყად ეღერს, ამბობს ვ. ვ. კოვანოვი. მშენებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პროფესიაა. ამ კეთილშობილური პროფესიის ღირსება უნდა დაიცვათ და გავუფფოთხილოდეთ მას. მშენებელები აგებენ ფაბრიკებსა და ქარხნებს, აშენებენ გზებს, სასახლეებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, საცხოვრებელ სახლებს. ის, ვინ მშენებელთა ხელით, მათი შრომით იქმნება, მრავალი წლის, საუკუნეების განმავლობაში რჩება.

ახალგაზრდა მშენებელთა პირველი რესპუბლიკური თათბირი ემთხვევა ღირსშესანიშნავ თარიღს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს. ამ შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში უდიდესი ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა ახალი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები.

ყველა ამ მშენებლობაში, რესპუბლიკის მშრომელთა ყველა სახელოვან მიღწევაში ჩვენი შესანიშნავი მშენებლების შრომაც არის ჩაქსოფილი . მათ შეუცავლეს სახე ქალაქებსა და სოფლებს, მათ გადალესეს საკმესლოტაციოდ ასობით და ათასობით დიდი სამრეწველო საწარმო, ააშენეს ათეულ ათასობით საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მონუმენტური შენობები.

ბ. ვ. კოვანოვმა ილაპარაკა შვიდ წელიწადში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდებულ პერსპექტივებზე. უნდა აშენდეს ასობით ახალი დიდი საწარმო, ელექტროსადგური. დაიწყება მშენებლობა ენგურის ჰიდროელექტრსადგურისა, რომელიც თავისი სიმძლავრით უდრის ხუთ ისეთ დიდ ენერგეტიკულ ობიექტს, როგორიც არის დნეპრჰესი.

აქ, ჩვენს თათბირს ესწრებიან სამრეწველო მშენებლობის დარგში მომუშავე მშენებელთა წარმომადგენლები. მთელი საბჭოთა ხალხი დაინტერესებულია იმით, რომ რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა, რადგან ყოველი ახალი ქარხანა, ყოველი ახალი ფაბრიკა ამრავლებს ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეს, მის ეკონომიურ ძლიერებას, ხელს უწყობს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა სწრაფი ტემპებით უნდა წარმოებდეს. ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვზრუნავდეთ მათთვის. დაე კომკავშირმა, ახალგაზრდობამ თავისი ყოველდღიური, შეუხელებელი მეთვალყურეობა გაუწიოს შვიდწლედის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო მშენებლობათა აგების გრაფიკის შესრულებას.

ამყამად პარტია ახორციელებს დიდ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის დარგში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა სოფლის მშრომელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მაქსიმალურად გადიდების ამოცანა დაუსახა. რესპუბლიკის მშრომელთა, ამიერკავკასიის ყველა მოძმე ხალხის ცხოვრებაში დიდი, სასიხარულო შოვლენა იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლა საქართველოში, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. ნიკიტა სერგის-ძემ ხაზგასმით აღნიშნა ის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც უნდა გადაჭრან ჩვენი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

ამ ამოცანების გადაჭრაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში სოფლის მშრომელები იმედს ამყარებენ სამრეწველო საწარმოთა მუშებისა და მშენებლების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მეტი ხორცი, კვერცხი რომ გვქონდეს, საკიროა გვყავდეს მეტი პიროტყვი, ფრინველი, ამისათვის კი საჭიროა მეცხოველეობის მეტი სათავესები. მარტო მიმდინარე წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პირუტყვის სადგომებისა და საფრინველეების მშენებლობას მოახმარენ ათეულობით მილიონ მანეთს. ეს დიდი პროგრამაა რომ შეეასრულოთ, საჭიროა სასოფლო მშენებლობა წარმოებდეს ინდუსტრიული მეთოდებით. რატომ არ უნდა გაეწიოთ თქვენ, ქალაქების მოწიფავე მშენებლებმა, შეფობა სასოფლო მშენებლობას, როგორც ყოველთვის იქცეოდა მუშათა კლასი, როცა საჭირო იყო სოფლის მეურნეობისათვის დახმარება.

დიდი ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ სანინო მშენებლობისათვის. ეს ყველაზე მწვავე, ყველაზე ძნელი უბანია, რომელიც პარტიამ უახლოეს ხანში უნდა გადაჭრას. ჩვენ შეგვიძლია მეტი ვაშენოთ, უფრო სწრაფად და იაფად რომ ვაშენებდეთ. სანინო მშენებლობის თვითღირებულების შემცირების ერთი პროცენტი ასობით ახალი ბინაა. დაე ახალგაზრდა მშენებლებმა იფიქრონ ამაზე. საჭიროა უფრო სწრაფად დავნერგოთ მშენებლობის ინდუსტრიული ნაკადური მეთოდები.

უნდა ვაშენოთ არა მარტო სწრაფად და იაფად, არამედ კარგადაც, ლამაზადაც. ამავე დროს კი ძალიან ბევრია საქმისადმი უპასუხისმგებლობა, უსულგულო, არსებითად დანაშაულებრივი დამოკიდებულების მაგალითი. როგორც ჩანს, მშენებელთა შორის არიან აგრეთვე ისეთი არქიტექტორები, სამუშაოთა მწარმოებლები, კალატოზები, ხურეობი. მემონტაჟეები, რომლებსაც არ უყვართ თავიანთი პროფესია, არ აფასებენ მას.

ხარისხის საკითხი მუდამ იყო სამშენებლო სამმართველოების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების, ყველა მშენებლის ყურადღების ცენტრში. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ოჯახმა, რომელმაც ახალი ბინა მიიღო, მოძებნოს მშენებელი, ეს სახლი რომ ააშენა, უთხრას: დიდი მადლობა კარგი მუშაობისათვის, იძულებული არ იყოს დაუყოვნებლივ დაწეროს განცხადება საჩქარო რემონტის შესახებ.

ამხ. ბ. ვ. კოვანოვმა დაწვრილებით ილაპარაკა მშენებლობის თვითღირებულების შემცირების საკითხებზე. დაე ყოველმა ახალგაზრდა მშენებელმა, ამბობს იგი, შეხედოს თავის „მშენებლო მოედანს. შეხედოს ახლებურად. რამდენ ხე-ტყეს, ცემენტს, ლითონს, აგურს ვკარგავთ ხოლმე ჩვენ ხშირად... გადაკეკვთ ისინი თეოსაცლელით, და რა ხდება? დაუდებენ 3 ტონას, ხოლო მიიტანენ 30 კილოგრამს. როგორ ვეპყრობით ხე-ტყეს? თითქმის ყოველ სახლის აშენების დროს იხარჯება 30 კუბურ მეტრამდე საუკეთესო ხე-ტყის მაალა ღობისათვის, მაგრამ ღობე ხომ არ აშენებს მშენებლობას, რატომ არ შეგვიძლია გადმოვიღოთ უნგრეთი და რუმინელი მშენებლების გამოცდილება, რომლებიც ღობეს ელექტრომავალ, ნამჯისაგან აკეთებენ. ეს ათასობით კუბურ მეტრ ხე-ტყეს ფაზოგავდა.

შეიძლება მოვიყვანოთ მშენებლობაზე მიწერის, თვალსაზეევის მაგალითები. ყოველთვის მთელი გულისწყრომით როდი ეკბრძვით სახალხო ფოვლათის დაბტაცებელს, როდი ედევნით ჩვენი რიგებიდან წამგლეჯებს. ჩვენ ერთად, ერთიანი ფრონტით უნდა გავაჩაღოთ ნამდვილი ბრძოლა ყოველი სახელმწიფო, სახალხო კაპიტალისთვის.

შესანიშნავი ჭაბუკები და ქალიშვილები მოვიდნენ ბოლო წლებში სახალხო მშენებლობებზე, ამბობს შემდეგ ბ. ვ. კოვანოვი. ეს ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული ახალგაზრდობაა. ფიფინადელი მშენებელი — ეს არის ადამიანი საშუალო განათლებით, ადამიანი, რომელიც ისწრაფვის მეცნიერების სიმაღლეებისაკენ. ბუნებრივია, რომ მას დიდი მოთხოვნილებები აქვს, და ჩვენ ვალდებული ვართ ყოველმხრივ დავაკმაყოფილოთ ისინი. ცუდად არის მოგვარებული მშენებლობებზე კვების საქმე. მე ვთხოვ ახალგაზოდებს მეტი მოთხოვნა წაუყენონ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა სავსებით უზრუნველყონ მუშები გემრიელი, კარგი და იაფი საჭმელით. მუდმივად იზრდება ჩვენი ახალგაზრდობის კულტურული მოთხოვნილებანი. აქ ჩვენ აღვნიშნავთ, რომ საჭიროა ცნობილმა მსახიობებმა, მეცნიერებმა, ჟოტტებმა, კინემატოგრაფისტებმა, მხატვრებმა ხშირად იარ

გაზაფხული კარს გვიკაკუნებს

პირველი ნაგიჯები

გაზაფხულის მოახლოება მკვეთრად იგრძნობა მთისა და ბარში. გორაკებზე დღემდე შერჩენილი თოვლი სწრაფად დნება, მდინარეები და ნაყოფიერები წყალუხვი გახდნენ. მზის სხივებს უფრო და უფრო ენატება ძალა. საკოლმეურნეო მინდვრებზე სამუშაოთა ფრონტი დღითიდღე ფართოვდება.

ახლა ზესტაფონელებს გაანგარიშებული აქვთ თავიანთი შესაძლებლობანი და ეძებენ გზებს იმისათვის, რომ საქმით უპასუხონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას. ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვას. სვირში თუ კვალითში, საქარასა თუ ალავერდში, ფუთასა თუ საჩანოში ენერგიული შრომაა გაჩაღებული.

მევენახეები და მესიმინდეები უკმაყოფილნი არიან გასული სამეურნეო წლის შედეგებით. ყველაფერი არახელსაყრელი ამინდის ბრალი როდია. ბევრგან ვენახებსა და სიმინდის ნათესებს მოაკლდა აგროტექნიკა, დამუშავება და სასუქი. მოსავალიც მცირე იყო. თუმცა ზესტაფონელებს შარშანაც ჰქონდათ ნაკისრი სერიოზული ვალდებულებანი, სიტყვა თქვეს, მაგრამ...

წელს კი, რადაც უნდა დაჯდეს, დადებული პირობა უნდა შესრულდეს. ზესტაფონელები არც ისე ცოტას თესავენ სიმინდს. შარშან სამი ათას ჰექტარამდე ჰქონდათ დათესილი, წელს გადაწყვეტილი აქვთ 3.150 ჰექტარი დათესონ. აქედან ხუთასი ჰექტარი მაღალმოსავლიანი ფართობები გამოჰყვეს და საშუალოდ ჰექტარზე უნდა მიიღონ სამოცი ცენტნერი სიმანდი მარცვლად. ათას ხუთას ჰექტარს დათესავენ კვადრატულ-ბუდობრივად და მწკრივად, განხორციელდება ორმხრივი კულტივაცია, ამაღლდება აგროტექნიკა, დამუშავების ხარისხი, „ოკამეთის თეორია“ სიმინდის ჯიშმა საბელი უნდა მოუპოვოს თავის მიწა-წყალს, ამას ამბობენ პირველ და მეორე სვირში, თვით ოჯამეთში და ბევრ სხვა სოფელშიც.

ამის საფუძველი აქვთ ზესტაფონელებს. კოლმეურნეობები გამსხვილდნენ და უფრო მძლავრი გახდნენ. შარშან არსებული 37 კოლმეურნეობის ნაცვლად ახლა 23 კოლმეურნეობაა. კოლმეურნეობის 23 თავმჯდომარიდან 17 უმაღლესი სპეციალური განათლებით არის, დანარჩენი კი საშუალო და საშუალო სპეციალური განათლებით. საკოლმეურნეო წარმოებაში ახალი კადრები ბოდიან, ყურადღების ღირსია, რომ სოფელ საბაწოს რუსთველის სახელობის კოლმეურნეობაში ხუთი ბრიგადიდან ორს უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი ხელმძღვანელობს — ა. ფიჩხაძე და შ. ნებიერიძე.

ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ორგანიზატორული მუშაობა ძირითადად წყვეტს საქმის წარმატებას. აღნიშნულ ბრიგადებში შრომა მოწესრიგებულია, დისციპლინა მტკიცეა. აგრონომის ხელი ატყვია ყველა უბანს. თესვისათვის მზად არიან.

რა კეთდება ამჟამად სიმინდისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის? პირველ რიგში ზესტაფონელები წელს სიმინდს ძირითადად დათესავენ მზრალად ხნულზე. მექანიზატორებმა წესრიგზე მოიყვანეს იარაღ-მანქანები, სასიმინდე ნაკვეთებსა და ვენახებში ნაკელი გააქვთ. თებერვალში ზესტაფონელებმა გამოაცხადეს ნაკელის გატანის ოცდღიანი და წარმატებებიც აქვთ.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის ლაშქრობაში მაგალითის მაჩვენებელია მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, მევენახეები პ. ღვალინძე, ე. ხიდაშელი, გ. ჯუღელი, გ. ქსანდინოვი იმისათვის იბრძვიან, რომ ჰექტარზე 100-110 ცენტნერი ყურძენი მიიღონ. მათ არ ჩამორჩებიან ალავერდელები, რომლებმაც პირობა დადეს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ ასი ცენტნერი ყურძენი. გადაწყვეტილი აქვთ მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 50 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ათი ჰექტარის საშუალოდ ჰექტარზე — 80 ცენტნერი. შორაპნის კოლმეურნეობის ბრიგადებმა, რომლებსაც ს. კვინიკაძე და შ. ზიბზიბაძე ხელმძღვანელობენ, პირობა დადეს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 60 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

ამ დღეებში დიდი გაღოცოცხლებაა მინდვრად. მთავრდება ვენახებში ნიადაგის ბარვა და სასუქების შეტანა. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ჭიგოს დამზადება, შპალერის გასამაგრებელი ბოძების რემონტი. შარშან რაიონში მევენახეებმა 150 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენეს, წელს კი ფიქრობენ კიდევ 150 ჰექტარი გაშენონ. ამისათვის 80 ჰექტარზე მეტი სავენახე ნიადაგი უკვე მზადაა აქვთ. დამყნობილია 2.400 ათასი ძირი ვაზი. სანერგეებს ნიადაგის მომზადებაც მთავრდება. ვაჭვეისა და არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ვენახის საზამთრო სამუშაოები დაამთავრეს, შეტანილია ორგანული და მინერალური სასუქები. ამ მეურნეობების კოლექტივებმა პირობა დადეს საშუალოდ ჰექტარზე 70-80 ცენტნერი ყურძენი მოიყვანონ.

ზესტაფონელ მხვნელ-მთესველებსა და მევენახეებს მტკიცედ აქვთ კვდაწყვეტილი დადებული სიტყვა არ გატეხონ. მაგრამ ზოგიერთი სასაყვედეროც აქვთ. დღემდე ვერ მოხერხდა სიმინდის მწკრივად სათესი მანქანების შემოზიდვა, იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილებს კვლავ დაეძებენ. მევენახეებს აკლიათ ვაზის შესაწამლი ასპარატები, ვენახებში სასუქების შესატანი მანქანები და ვენახების რიგთა შორის დასამუშავებელი კულტივატორები.

ახლა ყოველი დღე, საათიც კი ძვირფასია. გაზაფხულმა მოუმზადებელს არ უნდა მოგვისწროს.

ნ. ჯანჯღლავა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მეგობრობაც ამას ჰქვია

ტყიბული. (საკ. კორ.). ორპირის საშუალო სკოლის მასწავლებელს შ. კვეტაძეს მეგობრული მიწერ-მოწერა აქვს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დიდ უნივერსიტეტთან — ბრნოს უნივერსიტეტთან. ამ უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრა ჩეხი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — გერმანიის ფაშიზმისაგან განთავისუფლების 15 წლისთავის აღსანიშნავად აგროვებდა მებრძოლთა ჩანაწერებს, წერილებს, ფოტოსურათებს და ნახატებს. შ. კვეტაძემ კათედრას გაუგზავნა თავისი მოგონებები და პირადი დღიურები ჩეხოსლოვაკიაში გადახდილი ბრძოლების შესახებ. ყოფილი მებრძოლის ამ ჩანაწერებში ასახულია საბჭოთა არმიელების თავგანწირული ბრძოლა ჩეხი ხალხის განთავისუფლებისათვის.

შარშან ბრნოს უნივერსიტეტიდან მოვიდა წერილი, რომელშიც პროფესორ-მასწავლებლები გულთბილ მადლობას უხდიდნენ შ. კვეტაძეს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ნონაწილეობისა და მამაცობის გამოჩენისათვის.

ამ დღეებში შ. კვეტაძის სახელზე ჩეხოსლოვაკიიდან კვლავ მოვიდა გულთბილი წერილი. ბრნოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის თანამშრომლები შ. კვეტაძეს უსურვებენ წარმატებებს შემდგომ მუშაობაში.

ნოღაის ველზე

ჩორნი რინოკი. (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). ნოღაის თვალუწვდენ ველებზე, სადაც ყოველწლიურად ზამთრობს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცხვარი, უკვე იგრძნობა აღრეული გაზაფხულის სუნთქვა. მაგრამ ზამთარი როდი თმობს პოზიციას, ხანდახან სამხრეთის ქარს ჩრდილოეთის ქარაშოტი ცვლის. ტემპერატურა ეცემა.

ქართველი მწყემსები მხნედ იტანენ ბუნების კაპრიზებს. ფერმებში დოლი დაიწყო. დუშეთის რაიონის საზოგადოებრივ ფარებს უკვე შეემატა 10 ათასამდე ბატკანი.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული მწყემსები და ზოოვეტსპეციალისტები ზრუნავენ იმისათვის, რომ საუკეთესოდ ჩაატარონ დოლი, არ დაკარგონ არც ერთი ცხვარი, არც ერთი ბატკანი, გაზარდონ პირუტყვის პროდუქტიულობა, ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთონ სამარცხვინო მოვლენა — ცხვრის სიკვდილიანობა.

შესანიშნავ წარმატებას აღწევენ დუშეთის რაიონის სოფელ ხადის კოლმეურნეობის მწყემსები, რომლებმაც გასული წლის ბოლოს პირველად სცადეს ადრეული დოლი და დეკემბერში 835 ჯანსაღი ბატკანი მიიღეს. ახლა ეს ბატკნები თოხლებს არ ჩამოუვარდებიან. გაზაფხულზე ისინი მოზრდილი ცხვრები იქნებიან.

ადრეული დოლი პირველად ჩაატარა აგრეთვე თიანეთის, ლენინგორის, ყაზბეგის რაიონების ზოგიერთმა კოლმეურნეობამ.

მწყემსები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ აუცილებელია ფართოდ, გაბედულად ვნერგავდეთ შემჭიდროებულ დოლს — ცხვრის სულადობის ზრდის პროგრესულ მეთოდს.

უმრავლესი ფერმები კარგად მოემზადნენ დოლისათვის, რომელიც თებერვლის ბოლო რიცხვებში მასობრივად გაჩაღდება.

ბინებში მიიტანეს 1000 ტონამდე კონცენტრირებული საკვები, მომზადებული და დათბუნებულია საბატკნეები, საჩვილეები, ცხვრის სადგომები. გაძლიერებულ კვებაზეა ჯანდაგი ცხვარი. განსაკუთრებულ პატივში არიან ჩვილი ბატკნები.

არის ნაკლიც. საძოვრების ყველა მასივზე მწყემსები ნაკლებად იცნობენ ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მასალებს. ბინებში არ იღებენ ყურნალ-გაზეთებს, იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს, ზოგიერთ ფერმაში მუშახელი აკლიათ.

...გაზაფხული მოახლოებულ ნოღაის ველზე. ახლა ძვირფასია ყოველი საათი, ყოველი წუთი.

—არ შევრცხვენით ქვეყნისა და ხალხის წინაშე, გავამრავლებთ ცხვარს, ჩვენს დოვლათს — ასეთია მწყემსების სიტყვა.

გონივრული გამოყენება რეზერვებს

ზვიდწლედის პირველ ორ წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 45 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ეს არც ზღვარია და არც სარეკორდო ციფრი, მაგრამ საჩხერის რაიონის პირობებში ცუდი მაჩვენებელი როდია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1960 წელს 1959 წელთან შედარებით 13 მანეთით შევამცირეთ ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება.

ზვიდწლედის მესამე წელი შემოქმედებითი შრომის აღმავლობისა და ახალ წარმატებათა წელი იქნება. ოქტომბერში გაიმართება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. გავაჩაღეთ რა სოციალისტური შეჯიბრება ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენ ვიკისრეთ თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 50 ცენტნერი სიმარდი, 70 ცენტნერი ყურძენი, თვითეულ ძროხაზე 1.900 კილოგრამი რძე, შევქმნათ პროდუქტების სიუხვე, შევამცირეთ მათი თვითღირებულება.

ეს ვალდებულებანი ლენინურ სიტყვად არ დარჩება. ჩვენ უკვე საქმით შევუდექით მათ განხორციელებას, ისინი შესრულდება.

ი. ჯილაძე,
საჩხერის რაიონის სოფელ ორლულის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ასე ვფიქრობთ, ასე ვშრომობთ

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ჩვენი რესპუბლიკის მდიდარი და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა მძლავრი აღმავლობის დღეებს განიცდის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული დადგენილება, ის დიდი ამოცანები, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა დაუსახა სოფლის მშრომელებს პლენუმზე, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე — მანათობელ ჩირაღდანს წარმოადგენენ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდ გზაზე.

ახლა რესპუბლიკის ყველა რაიონში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში თავდადებული შრომის ცეცხლი გიზგიზებს, მხვნელ-მთესველები, მეჩაიეები, მეცხოველეები, მექანიზატორები, მევენახეები გამსჭვალული არიან ერთი კეთილშობილური მისწრაფებით: პირნათლად გაანაღდონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, შვიდწლედის მესამე წელს მოიყვანონ უხვი მოსავალი, მისცენ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი მარცვლეული, ჩაი, ყურძენი, ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, მეცხოველეობის პროდუქტები...

ამის შესახებ მეტყველებს „კომუნისტის“ რედაქციის მიერ მოწყობილი ინტერვიუ სოფლის მოწინავე ადამიანებთან.

1. ახობაძის ვაჟკაცური სიტყვა

სამტრედიის რაიონში ბევრი კარგი ენსამინდეა, მაგრამ მჯობზე მჯობს რა დალევს? და ჩვენც ისეთ მეურნეს ვესაუბრეთ, რომელიც თავისი ცოდნით, გამოცდილებით, სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანით მართლაც ბევრს უსწრებს წინ.

ეს გახლავთ სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის რუსთველის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი დ. ახობაძე, რომელსაც წელად ხვდა დიდი პატივი — ყოფილიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილე.

— სიმინდის როგორი მოსავალი გქონდათ გასულ წელს?

დ. ახობაძე ამ კითხვაზე უბრალოდ გვიპასუხებს:

— ჩვენი კოლმეურნეობის მიწები, — ამბობს იგი, — ძალზე ხელსაყრელია სიმინდის კულტურისათვის, მაგრამ ყველა მესიმინდე ჯერ კიდევ ვერ იყენებს ამ მიწებს ისე, რომ მაღალი მოსავალი მიიღოს. ამაზე ნათლად მეტყველებს გასული წლის შედეგები. კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 17 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, როცა ჩემმა ბრიგადამ მთელი ნათესის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მიიღო მარცვლად.

ზვიდწლედის მესამე წელს დ. ახობაძის ბრიგადამ იკისრა 50 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 80 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ბრიგადის გამოცდილმა მესიმინდეებმა კი — კ. ნასარაიამ, ვ. წიქვაძემ, ა. გეფერიძემ და პირადად დ. ახობაძემ პირობა დადეს იმ ნათესებში, რომლებსაც თვითონ უკლიან, ჰექტარზე მოიყვანონ 100-100 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

— ეს დიდი ამოცანაა. რა სამუშაოები შეასრულეთ ამ ვალდებულების გასანაღდებლად?

— სასიმინდე ფართობის მოხვნა უკვე დავამთავრეთ, — განაცხადა დ. ახობაძემ, — ამჟამად მინდორში გაგვაქვს ნაკელი და ვიმარაგებთ მინერალურ სასუქს. თესლი აგვყავს სასურველ კონდიციამდე. გავწმინდეთ და წესრიგში მოვიყვანეთ სარწყავი არხები.

ბრიგადა, რომელსაც დ. ახობაძე ხელმძღვანელობს, მომზადებული ხვდება საგაზაფხულო თესვას. ეწერელ მესიმინდეს სურს სოციალისტური შეჯიბრება გაუწიოს აკვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მესიმინდე მ. გურაბანიძესთან.

ეჭვს გარეშეა, რომ ყვარელელ და სამტრედიელ მესიმინდეთა სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და სიმინდის უხვი მოსავლის მიღებას.



საბაზაფხულო თესვის ცხარე დღეები ახლოვდება. კოლმეურნე მექანიზატორები მოწდომებით ემზადებიან, არუმონტაჟებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. **სურათზე:** სამგორის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი შ. არევაძე (მარცხნივ) და ტრაქტორისტი დ. ჭანტურიძე (მარჯვნივ) არემონტებენ ტრაქტორს.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

2. შრომა ხვავის, ბარაქის დედაა...

მახარაძის რაიონში ცნობილია სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მოწინავე მეჩაიის ლ. მაღულარიას სახელი. თავისი საქმის ამ გამოჩენილმა ოსტატმა შარშან პლანტაციის 0,7 ჰექტარზე 12.298 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა და ჩააბარა მრეწველობას. მაგრამ ეს უკვე წარსულს ეკუთვნის, და აი რედაქცია დაინტერესდა იმით, თუ როგორ შრომობს ახლა მწვანე ოქროს ოსტატი, რას გვპირდება, რით ასახელებს წელს სამშობლოს?

— შრომა ხვავისა და ბარაქის დედაა, შრომით მოიპოვება სახელი, დიდება, და მეც სწორედ შრომამ მომცა საშუალება ვყოფილიყავი მონაწილე ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირისა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა ნ. ს. ხრუშჩოვი. ამ თათბირმა, ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ თათბირზე წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი შთამაგონებელი გავლენა იქონია ჩემზე, ფრთები შემესხა, თითქოს ავმაღლდი, შრომის წყურვილი გამოორკეცდა, — ამბობს ლ. მაღულარია.

—პლანტაციის სამემოდგომო ბარვა, — თქვა ლ. მაღულარიამ, — თავის დროზე დავამთავრე. ნაკვეთში უკვე საჭირო რაოდენობით მაქვს შეტანილი ბუნებრივი და მინერალური სასუქები. საღრენაჟო არხების გაყვანაც დროზე მოვასწარი.

ლ. მაღულარიამ შვიდწლედის მესამე წელს გაზრდილი ვალდებულება აიღო — პლანტაციის 0,7 ჰექტარზე მოკრიფს და სახელმწიფოს მიჰყიდის 15.000 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის მწვანე ფოთოლს.

ამ დიდი ვალდებულების შესრულების თავდებია დაუღალავი შრომა, რასაც ახლა ნაგომრელი ჩაის ოსტატი ეწევა პლანტაციაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

მხვდება მე ერთხელ ტაქსის შოფერი,
მხვდება ღიმილით და მეუბნება...
(ჩემი ტოლია და მეზობელი,
არ გავუგონო — დამეუბრება!).

მიღებს მანქანის კარსა და: — მისმენთ?—
აუმღერდება ბოხი ხმით ყელი,
ხელისგულს შარვლის ტოტებზე იწმენდს,
რომ ჩამომართვას ხელმარჯვედ ხელი.

ვგრძნობ, სრყვარული სწვავს ამ ქალაქის,
სხვას მე არაფერს არ მედავება,
ისიც ტოლია ძმა-ამხანაგის,
გული ძმისთვის არ ეცოტავება!

ახსოვს, რომ ახალ თბილისს ვაქედი,
როცა ბოლნისის ქვებით ააგეს,
როცა თაბორის მთიდან ვაკემდი
მთაბარი უცებ გააქალაქეს.

ო, არა, ჩემზე ნაკლებ არ უყვარს
შოფერს რუსთველის გამზირი დიდი,
თვალწინ გაუშლის როგორც სანუკვარს
მტკვარზე ვეფხვივით გამხტარი ხიდი!

გზაც აღარ არის მთაწმინდის იქით,
ის არის მისი გულისფიცარი,
და სართულებში შეჭრილი ჩიხით
გაღმა ეძახის ისევ ისანი!

უყვარს ყოველი სახლი მტკვრის პირად
კლდეზე ჩიტივით ღამე ნათევი,
გაინავარდებს გაღმა ხშირ-ხშირად,
რომ ინახულოს ნაძალადევი!

მას ხან ფეხბურთის ტაში ახარებს
და ხან ქორწილის შნო და თამაში,
დაჰქრის მტკვრის პირას და დაგვაქანებს
ჩვენ ავჭალიდან ორთაჭალაში.

როცა ჩაუვლის ცისფერ აივნებს,
ძველ კედლებს სადაც უდგათ ბურჯები,
ისიც უთუოდ გულში გაივლებს
როგორ მღეროდნენ ეთიმ-გურჯები!

თუ არ გრძნობ იმის თბილისურ კილოს,
მისი მარჯვენა თუ არ დალოცე,
სულმოუთქმელად ვინ აგაფრინოს
სანაპიროდან საბურთალოზე!

ხელთ გასაღები მისცეს თბილისის
და როცა საჭეც ხელთ ჩაიბღუჯა,
ქალაქში ახლა უკეთ ვინ იცის
ყოველი კუთხე, ყოველი ქუჩა!..

მაშ ასე, დაჰკარ ხელი, შოფერო,
და არ გაგტეხოთ არასდროს ფიცი.
ჯანღონით მართლა დაუშრობელო,
ვიცი მე შენი სიმართლე, ვიცი!

ვიცი, ათასი ქუჩა გადასჭერ,
სანამ ღიმილით მეტყოდი ბოლოს:
— სხვა რომელია, დღეში ათასჯერ
ქალაქს ღიღინით რომ დაუქროლოს!..

ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკაში მუყაითი შრომით თავი ისახელა და ფაბრიკის კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ნანი დოლაბერიძემ, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 145-150 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** ნანი დოლაბერიძე.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

კარგია, სტუდენტებო!

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის სალამოს სწავლების ფაკულტეტმა მტკიცედ დაიმკვიდრა ქალაქის ახალი უმაღლესი სასწავლებლის სახელი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, აგრეთვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექციის დახმარებით სულ უფრო მტკიცდება და ფართოვდება ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უმჯობესდება სწავლების ხარისხი.

სალამოს ფაკულტეტის ბევრი სტუდენტი მის მიერ არჩეული სპეციალობის მიხედვით მუშაობს. ეს ეხმარება მათ თეორიული სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ პრაქტიკას, ცხოვრებას. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი სტუდენტი სრულებითაც იმ სპეციალობაზე არ მუშაობს, რომელზეც იგი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს.

სწორედ ამიტომ ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ (დეკანი დოც. ვ. ბარქაია) გადაწყვიტა ისე მოეწყო სტუდენტთა შრომა, რომ იგი შეხამებული ყოფილიყო თეორიული დისციპლინების სწავლებასთან. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ქუთაისის პარტიულმა, კომკავშირულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, თვით სტუდენტებმა.

წამოწყებამ ფრთები შეისხა. სალამოსა და დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ სამშენებლო სპეციალობის I-IV კურსების სტუდენტებისაგან შეიქმნა მშენებელთა მუდმივი ბრიგადები. ახლა კალატოზთა, დურგალთა, მეარმატურეთა და ხე-ტყის დამმუშავებელთა ბრიგადები, რომლებსაც თვით სტუდენტები ხელმძღვანელობენ, ქალაქის ერთ-ერთი სამშენებლო სამმართველოს ობიექტებზე მუშაობენ. შეისწავლიან რა მშენებლის ყველა პროფესიას, სტუდენტებს მუშაობის ადგილზე, სასწავლო აუდიტორიის კედლებს გარეთ, წაეკითხებათ სპეციალობასთან დაკავშირებული ლექციები, ჩაუტარდებათ პრაქტიკული სამუშაობები.

ცხოვრებასთან სწავლების კავშირის განმტკიცებისაკენ მიმართული ეს ძვირფასი წამოწყება ყოველმხრივი მხარდამჭერის, ხელშეწყობისა და გაკვრცელების ღირსია.

შ. ჯაბახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვაი ასეთ აშენებას!

ორიოდე წლის წინათ ცხაკაიას რკინიგზის სადგურის წინ გამგლელთა გულს ახარებდა სკოლის ეზოში მოსწავლეთა მხიარული ჟრიამული, აქ რკინიგზის საშუალო სკოლაში ცოდნას ეწაფებოდა ქალაქის 700-ზე მეტი მოსწავლე.

როცა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო დიდი სახალხო-საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოძრაობა, სკოლების ძირეული გარდაქმნისათვის, რკინიგზის საშუალო სკოლა გაუქმდა. ბევრ მოსწავლეს გადასვლა მოუხდა ქალაქის ცენტრში არსებულ საშუალო სკოლებში. მშრომელები კმაყოფილებით შეხვდნენ გაუქმებული სკოლის ბაზაზე ამიერკავკასიის რკინიგზის პირველი სკოლა-ინტერნატის მშენებლობას.

მშენებლობისათვის გამოიყო ფართობი, თანხები. ადგილზე მოზიდეს დიდძალი საშენი მასალა. მშენებლები (მშენებლობას აწარმოებდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ტრესტის სამტრედიის სამშენებლო განყოფილება) პირველ ხანებში დაჩქარებული ტემპით შეუდგნენ მუშაობას. მაგრამ თუმცა მშენებლობა უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალით, სკოლის შენობა მაინც ვერ ააგეს ხარისხიანად, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ დამთავრებულა. სპეციალურმა კომისიამ პრინციპულად აღნიშნა, რომ მშენებლობაში სერიოზული დეფექტები იყო. დაიწერა ოქმი და სამშენებლო ორგანიზაციას მითითა გამოესწორებინა დეფექტები. ვადაც დაენიშნა. დეფექტები სერიოზული იყო, ალმოფხვრის ვადა კი მოკლე. მაგრამ ვინღა იფიქრა დარჩენილი სამუშაოების შესრულებაზე!

მას შემდეგ ორი წელი გავიდა. სკოლა-ინტერნატი გაიხსნა. ახლა აქ 240 მოსწავლეა, რომელთა 86 პროცენტი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების რკინიგზელთა შვილები არიან. მათ რა საკვირველია, ბევრი რამ ესაჭიროებათ ნორმალური სწავლისა და ცხოვრებისათვის, მაგრამ ასეთი პირობები, სამწუხაროდ, ინტერნატში არ არის.

თავიდან მშენებლობის გეგმაში გათვალისწინებული იყო სკოლის სამსართულიანი შენობის, ერთი ოთხსართულიანი საერთო საცხოვრებლის, სამეურნეო კორპუსის, სასადილოს, სახელოსნოსა და საცურავი აუზის მშენებლობა. აღნიშნულ ნაგებობათა საერთო გეგმიდან რკინიგზის ხელმძღვანელობამ რატომღაც ამოიღო სახელოსნოს მშენებლობა.

განსხვავება წინათ არსებულ სკოლასა და სკოლა-ინტერნატს შორის სწორედ ის არის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა აღიზარდოს შრომის სულისკვეთებით, მიეჩვიოს ხელგარჯილობას. საწარმოო აღზრდა ხომ წარმოუდგენელია უსახელოსნოდ. ამბობენ, სახელოსნოს მშენებლობას 1962 წელს დაიწყებენო. ასე იქნება?

ახლა უხარისხო მშენებლობაზეც უნდა ვთქვათ ზოგი რამ.

საძინებელი კორპუსის ქვედა სართულში წყალი დგას, რომელსაც გასავალი არა აქვს, ამოღებული მიწა ისევ მოყრილი, რომ ორმოების ამოვსებაზე მშენებლებს არც უფიქრიათ, წვიმის წყალი ქვედა სართულში ჩადის, იქ გუბდება, ლაბა, ბაყაყებისა და კოდოების ბუდედ არის გადაქცეული.

სპორტდარბაზის მშენებლობას სიხარულის მეტი რა უნდა მოეტანა ბავშვებისათვის, მაგრამ უხერხო მშენებლობის გამო დარბაზის იატაკიდან წვიმის დროს წყალმა შადრევანივით ამოხეთქა, პარკეტი ამოცარა და დარბაზში დაგუბდა. სპორტის მოყვარულებს წყლის გადაქაჩვა ძნელ პირობებში მრუხლათ, მაგრამ დამპალ იატაკს პერაფერი მოუხერხებს, რადგან ისევ წვიმებმა და ისევ წყლის გუბეებმა იატაკის ხელმეორედ დაგებას ხელი შეუშალა.

ცხაკაიას რაიონულმა გაზეთმა „ავანგარდმა“ მიმდინარე წლის იანვარში მოათავსა „ფოტობრალდება“, რაც ამბობდა სპორტული დარბაზის უხარისხო მშენებლობას. ამაზე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს მოადგილე ი. მარინაშვილი რედაქციას ასეთ პასუხს უგზავნის: „ჩატარებული გეოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ადგილმდებარეობა, სადაც გაშენებულია სკოლა-ინტერნატი, არის ჭაობიანი ნიადაგის ზედა ყამირის წყლები“. კომენტარი ზედმეტია.

უხარისხო მშენებლობის დაღი აზია სკოლა-ინტერნატის სხვა კორპუსებს, სასკოლო ოთახებს, კაბინეტებს, არ ვარგა სათბობი მილების გაყვანილობა და სხვ.

უფრო მეტიც: ამიერკავკასიის გზის ხელმძღვანელობის განკარგულებით ინტერნატს გასული წლის ბოლოს უნდა ჩაბარებოდა სასადილო და სამეურნეო კორპუსი, ფაქტიურად არც ერთი არ არის აშენებული, მაგ. მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხა არა მიბნობრივად დახარჯეს.

სასადილოს უქონლობა დიდად უშლის ხელს ბავშვების ნორმალურ კვებას. ერთი მოუწყობელი სამზარეულო ბავშვთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ინტერნატი კი ააშენეს, მაგრამ ვაი ასეთ აშენებას!

ვ. წირლვაძე,
ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორი.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

არის შეფერხებები, საჭიროა დახმარება

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის გასული წლის 14 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო კურსების გრანიტის ქვის წარმოებაში არსებული ზოგიერთი ნაკლი.

ამ წერილის თაობაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო რედაქციას ატყობინებს, რომ **გაზეთში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. მიღებულია ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.**

სამთამადნო მრეწველობის ტრესტს დაევალა დააჩქაროს მძლავრი ამწეს დამონტაჟება, ამასთან გამოპყოს საშენი მასალები ხის ფარდულის ასაგებად, ხოლო ტყიბულქვანახშირის ტრესტს დაეკისრა გააკეთოს, გამართოს და გრანიტის ქვის საწარმოს დაუყოვნებლივ გადასცეს 6 ცალი ქვის სახეხ-საკრიალებელი ჩარხი.

ვენახები რომ ირწყვებოდეს...

ჩვენს გაზეთში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო ხირსის ვენახების ფართობის მორწყვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამბ. გ. ჯომარჯიძე გვაცნობებს: **„კომუნისტის“ 1960 წლის 14 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი სათაურით „ვენახები რომ ირწყვებოდეს“..., რომელიც ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახების მორწყვის საკითხს ეხება, სინამდვ

კომუნისტი
პირველი

გულთბილი შეხვედრები ინდოეთში

მშვიდობის მტრები ვერ გაექცევიან ხალხის რისხვას, შურისგებას

საერთაშორისო დღიური, ცნობები, მიმოხილვა, ფიქრები

ა. ი. კოსიგინი ინდოეთში

დელი, 22 თებერვალი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი ეწვია ინდოეთის ფოლადის, წიაღისა და სათბობის მინისტრს სარდარ სვარან სინგჰს. საუბრის დროს, რომელიც ფოლადის, წიაღისა და სათბობის სამინისტროში მიმდინარეობდა, ა. ნ. კოსიგინმა და სარდარ სვარან სინგჰმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ეკონომიური თანამშრომლობისა და ორ ქვეყანას შორის დადებულ შეთანხმებათა განხორციელების საკითხებზე.

ინდოეთის პრესა ინდოეთში ა. ნ. კოსიგინის ყოფნის შესახებ

დელი, 22 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის პრესა ფართოდ აშუქებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ნ. კოსიგინის ვიზიტს ინდოეთში. გაზეთები „ტაიმს ოფ ინდია“ და „ჰინდუსტან ტაიმსი“ პირველ გვერდზე აქვეყნებენ შეთანხმების ტექსტს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის შემდგომი ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ.

პრესა იუწყება აგრეთვე, რომ ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი იყო ეროვნულ საგეგმო კომისიაში და რომ საბჭოთა სტუმარი ეწვია ინდოეთის პრეზიდენტ რაჯენდრა პრასადს, ფინანსთა მინისტრს მ. დესაისა და ფოლადის, წიაღისა და სათბობის სახელმწიფო მინისტრს კ. დ. მალავიას. გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ კორესპონდენციას ამის შესახებ აქვეყნებს სათაურით: „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის ფართო პერსპექტივა“.

გაზეთმა „სტეიტსმენმა“ მოათავსა დიდი ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ნ. კოსიგინის მეგობრული შეხვედრა ინდოეთის პრეზიდენტთან დოქტორ რაჯენდრა პრასადთან.

დელი, 22 თებერვალი. (საკდესი). დღეს საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა საბჭოთა საელჩოს შენობაში სადილი გამართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი ს. რადჰაკრიშნანი, ფოლადის, წიაღისა და სათბობის მინისტრი სარდარ სვარან სინგჰი, შაბტებისა და ნავთობის მინისტრი კ. დ. მალავია, ფინანსთა მინისტრი მორარჯი დესაი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი, ინდირა განდი, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი რ. კ. ნერუ, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, ინდოეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

სადილზე იყვნენ აგრეთვე ს. ა. სკაჩკოვი, გ. მ. პუშკინი, ელჩი ი. ა. ბენედიქტოვი, პ. ს. ივანოვი, კ. ნ. პლოტნიკოვი, სსრ კავშირის ინდოეთის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები. სადილმა უაღრესად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. სადილის შემდეგ ნახეს კინოფილმი „პლუს ელექტროფიკაცია“, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა აჩუქა ინდოეთის პრემიერს ჯავაჰარლალ ნერუს.

ფესტივალი ჰელსინკში გაიმართება

ჰელსინკი, 22 თებერვალი. (საკდესი). დღეს ჰელსინკის კულტურის სახლში მუშაობა დაამთავრა წარმომადგენლობითმა საერთაშორისო კრებამ, რომელიც სამი დღის განმავლობაში განიხილავდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალის მომზადებისა და მოწყობის საკითხებს. შეიქმნა საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი და გადაწყვეტილია ფესტივალი მოეწყოს 1962 წლის ზაფხულში ქალაქ ჰელსინკში. „კრებამ, — ნათქვამია ერთ-ერთ დოკუმენტში, — გულთბილად დაუჭირა მხარი VIII ფესტივალის ჰელსინკში გამართვას და ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა ფინელ ხელისუფლებს იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდა ფესტივალი მოეწყოს აქ. საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის დამფუძნებელმა სხდომამ მიიღო აგრეთვე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მშვიდობისა და მეგობრობის მსოფლიო ფესტივალის საერთო პროგრამა და მიმართა მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი.

კრებამ მოუწოდა მსოფლიოს ახალგაზრდობას, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ყველა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციას მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მშვიდობისა და მეგობრობის VIII მსოფლიო ფესტივალისათვის მზადებაში და დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები ფესტივალზე, აგრეთვე შექმნან ეროვნული საფესტივალო მოსამზადებელი ორგანოები.

რუსთავი დიდი ფეხბურთის ნაადრევი გაზაფხული გახდა. ახლა, როდესაც კარზე მოგვადგა საკავშირო ჩემპიონატის სტარტი, მსოფლიო პირველობის შერჩევითი შეხვედრების უკანასკნელი ეტაპი, ცხადია საერთო ყურადღებას იპყრობს საბჭოთა ფეხბურთელების მომავალი ბრძოლის პერსპექტივები.

როდესაც ამ ბრძოლისათვის მზადებაზე ვლაპარაკობთ, პრიორიტეტი უთუოდ რუსთავს ეკუთვნის, რადგან წელს სწორედ აქ დაირწა საკონტროლო მატჩების აკვანი. ლაპარაკია სსრ კავშირის ნაკრებთა პირველ მატჩებზე, პირველ შეხვედრებზე, პირველ შედეგებზე.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მკითხველებს ვაცნობდით ნაკრების მეორე შერადგენლობის პირველი გამოსვლის შედეგს რუსთავის „მეტალურგთან“, მაგრამ წინ ხომ უფრო მეტის მთქმელი, მეტი საინტერესო ასპარეზობა იყო სსრ კავშირის პირველი ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის.

და აი, რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონი კვლავ დიდი ასპარეზობის მოწმე გახდა. გუშინ აქ გაიმართა Ѳორიგი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის ნაკრების პირველი შემადგენლობისა და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის. თუ გადავავლებთ თვალს ნაკრების ამ შემადგენლობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი სტაბილურია, დაახლოებით ასეთ შემადგენლობას უნდა მოველოდეთ მსოფლიო ჩემპიონატის დიდ გზაზე.

აი ისინი:

მეკარე ვ. მასლაჩენკო; ᲩᲪᲔᲚᲔᲑᲘ — ა. მედაკინი, ი. ნეტო, გ. ჩოხელი; ნახევარმცველები — ვ. ვორონინი, ნ. მანოშინი; თავდამსხმელები — ს. მეტრეველი, ვ. ივანოვი, ვ. პონედელნიკი, ბ. ბატანოვი, მ. მესხი (ვ. ჰუსაინოვი). ამ დღეს საპატიო მიზეზით ნაკრებში ვერ ვხედავდით მეკარეთა შორის პირველს — ლ. იაშინს.

ჩვენი ქვეყნის ტყვიის ბურთის ოსტატთა ამ შესანიშნავ შემადგენლობას წინ აღუდგა „ბ“ კლასის გუნდების წარმომადგენელი — თბილისის „ლოკომოტივი“ შემდეგი შემადგენლობით — ო. რუხაძე, ი. უსტაბაშიდი, ე. კუჭავა, ე. ოდიკაძე, გ. მუმლაძე, მ. მიროშნიკოვი, მ. იავილი, ო. ცერცვაძე, ნ. ახალკაცი, ო. ურთკმელიძე, ა. ივანოვი.

დასაწყისი ნაკრების სასარგებლოდ ბევრს არაფერს მეტყველებდა. გაეცოდნებით, კომბინაციათა ჩანაფიქრებით წინ იდგნენ ნაკრების წარმომადგენლები, მაგრამ ფეხბურთის ხომ უყვარს ტემპიანი ბრძოლა, განუწყვეტელი შტურმი, გამძლეობა, მონდომება. თუ ამ თვალსაზრისით შეეფასებთ მეტოქეებს, უპირატესობა ლოკომოტიველებს ეკუთვნოდათ.

ერთი სიტყვით, მოედანზე ვხედავდით თოიქმის თანაბარ ბრძოლას. თავდამსხმელთა მარჯვენა ფრთის ანსამბლი, მეტრეველი, ბატანოვი, ბ. ბატანოვი, ბ. ბატანოვი, ბ.